



მდგრადი განვითარების ცენტრი „რემისია“

წლიური ანგარიში

2016

ორგანიზაციის მოკლე აღწერა

მდგრადი განვითარების ცენტრი „რემისია“- მხარდაჭრას უწევს საქართველოს მთავრობასა და სხვა დაინტერესებულ მხარეებს მდგრადი განვითარების სტრატეგიებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავებაში როგორც ეროვნულ, ასევე ადგილობრივ დონეზე. ორგანიზაციის მიზანია ენერგეტიკის, გარემოს და ბუნებრივი რესურსების მართვის, ეკონომიკის განვითარების და სხვა სფეროებში საერთაშორისო დონეზე განხორციელებული მდგრადი მართვის პროცესების შესახებ ცოდნის, მეთოდოლოგიებისა და ტექნოლოგიების ქვეყანაში შემოტანის ხელშეწყობა. ეროვნული და ადგილობრივი შესაძლებლობების გაძლიერება რემისიის სტრატეგიულ მიზნებს შორისაა.

მისი მისიის განხორციელებისას რემისიის ძირითადი მიდგომაა ფოკუსირება მოახდინოს ისეთ სექტორებზე, ეკოსისტემებსა და რეგიონებზე, რომლებიც განსაკუთრებით მოწყვლადნი არიან კლიმატის ცვლილების რისკების მიმართ ან ხელს უწყობენ კლიმატის ცვლილების მიმდინარე პროცესების კიდევ უფრო გაძლიერებას.

რემისიის საქმიანობის ძირითად პრინციპებს წარმოადგენს დაინტერესებული მხარეების მაქსიმალური ჩართულობა, ადამიანის უფლებების დაცვა და გენდერული საკითხების ინტეგრაცია გადაწყვეტილებების მიღებისა და განხორციელების პროცესებში.

მდგრადი განვითარების ცენტრი რემისია აღიარებს მდგრადი განვითარების პრინციპებს საქართველოს ეკონომიკის განვითარებაში და თავის საქმიანობას წარმართავს შემდეგ მიმართულებებში:

ა) წვლილი შეაქვს კლიმატის ცვლილების შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჩარჩო კონვენციის, კიოტოს პროტოკოლის, მერების შეთანხმების და სხვა დამხმარე კონვენციებისა თუ შეთანხმებების განხორციელებაში. კერძოდ, რემისიის საქმიანობა ხორციელდება შემდეგი მიმართულებებით:

- სათბურის გაზების ინვენტარიზაცია;
- სათბურის გაზების ემისიების შემცირება;
- გარემოსადმი კეთილგანწყობილი ტექნოლოგიების გადაცემა;
- კლიმატის ცვლილების მიმართ მოწყვლადობის შეფასება და ეკონომიკის სხვადასხვა სექტორებისა და ეკოსისტემებისათვის ადაპტაციის ღონისძიებების მომზადება;
- კლიმატის ცვლილებების და მისი შედეგების მონიტორინგი;
- კლიმატის ცვლილების შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჩარჩო კონვენციისა და კიოტოს პროტოკოლით განსაზღვრული სხვა აქტივობების განხორციელება.

ბ) მდგრადი განვითარების პროექტების შემუშავება, ფინანსების მოძიება/მოზილიზება და განხორციელება;

გ) მდგრადი განვითარებისა და კლიმატის ცვლილების საკითხებზე საერთაშორისო და რეგიონული თანამშრომლობის ხელშეწყობა;

დ) ადგილობრივი ექსპერტების მომზადება კლიმატის ცვლილების შესახებ ჩარჩო კონვენციის, კიოტოს პროტოკოლისა და მდგრადი განვითარების სხვა აქტივობების საკითხებში;

ე) ცნობიერების ამაღლება ზემოთ აღნიშნული პროცესების შესახებ;

ვ) კონსულტაციების გაწევა სამთავრობო სააგენტოების, კერძო სექტორისა და სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტებისთვის.

ორგანიზაცია უფლებამოსილია განახორციელოს ნებისმიერი აქტივობა, რომელიც არ არის კანონსაწინააღმდეგო და ემსახურება აღნიშნული მიზნების განხორციელებას.

ქვემოთ წარმოდგენილია მოკლე ანგარიში რემისიის 2016 წლის საქმიანობის შესახებ.

I. მიმდინარე, დასრულებული და ახალი პროექტები

პროექტი	დაბალემისიანი განვითარების სტრატეგიის განსახორციელებლად შესაძლებლობათა გაძლიერება (EC-LEDS)/ სუფთა ენერჯის პროგრამა
დონორი	აშშ განვითარების სააგენტო (USAID)
განმახორციელებლები	ვინროკ ინთერნეიშენალ ჯორჯიასთან (Winrock Georgia)/რემისია
პერიოდი	2013-2017
პროექტის აღწერა	<p>2013 წელს რემისიამ ვინროკ ინთერნეიშენალ ჯორჯიასთან, ერთად დაიწყო მუშაობა USAID- ის პროექტზე „დაბალემისიანი განვითარების სტრატეგიის შესაძლებლობათა გაძლიერება (EC-LEDS)/ სუფთა ენერჯის პროგრამა“, რომელშიც ასევე ჩართულები არიან სხვადასხვა ადგილობრივი და საერთაშორისო პარტნიორები. პროგრამამ უნდა უზრუნველყოს კლიმატის ცვლილების შემარბილებელი ღონისძიებების იდენტიფიცირება, დაგეგმვა და ხელი უნდა შეუწყოს განხორციელებას სულ მცირე 10 მუნიციპალიტეტში (კომპონენტი 1); ასევე, ხელი უნდა შეუწყოს კერძო სექტორის ინვესტიციების ზრდას ენერგოეფექტურობაში (EE) და მწვანე შენობები (კომპონენტი 2) და დაეხმაროს საქართველოს მთავრობას დაბალემისიანი განვითარების სტრატეგიის შემუშავებისა და განხორციელების პროცესში (კომპონენტი 3).</p> <p>პროექტის ფარგლებში რემისია ხელმძღვანელობს კომპონენტ 1-ის განხორციელებას რაც გულისხმობს: საქართველოს მუნიციპალიტეტების დახმარებას ენერგოეფექტურობის საკითხებში. კომპონენტ 1- ის ფარგლებში, რემისიის ხელმძღვანელობით 10 მუნიციპალიტეტისათვის შემუშავდა მდგრადი ენერგეტიკის სამოქმედო გეგმა (SEAPs), მონიტორინგის ანგარიში (ტბილისისათვის) და ტექნიკური საპროექტო წინადადებები და შეიქმნა ანალიტიკური კომპიუტერული მოდელი /ინსტრუმენტი (muni-EIPMP), რომელიც გამოიყენება სათბურის გაზების შემცირების ღონისძიებებისა და პროგრამების შესაფასებლად და შესარჩევად.</p>

კომპონენტი 3: EC-LEDS პროცესის საორგანიზაციო კომიტეტის, ექსპერტებისა და სხვადასხვა სექტორებზე მომუშავე ქვე-ჯგუფების ხელშეწყობა, ტექნიკური დახმარება და დაბალემისიანი განვითარების სტრატეგიის განვითარებაზე მუშაობა დაიწყო 2015 წლის დეკემბრიდან. LEDS- ის დოკუმენტის შემუშავების პროცესში რემისიამ წამყვანი როლი შეასრულა და ტექნიკური დახმარება გაუწია პროექტის საორგანიზაციო კომიტეტს, ექსპერტებსა და სხვასასხვა სექტორებისთვის ჩამოყალიბებულ სამუშაო ჯგუფებს.

ძირითადი აქტივობები და შედეგები 2016 წელს

კომპონენტი 1

2016 წელს რემისიამ ტექნიკური დახმარება გაუწია ბოლნისის მუნიციპალიტეტს, თემი თელავის მუნიციპალიტეტს და მცხეთის მერიას მდგრადი ენერჯეტიკის სამოქმედო გეგმების (SEAP), მონიტორინგის გეგმების და ტექნიკური საპროექტო წინადადებების შემუშავებაში. ტექნიკური დახმარება მოიცავდა შემდეგ ასპექტებს:

- მდგრადი ენერჯეტიკის სამოქმედო გეგმებისა (SEAP) და მონიტორინგის გეგმების (MRV) მომზადების პროცესის ზოგადი ხელმძღვანელობა. განხილულ იქნა შემდეგი სექტორები: შენობები, ტრანსპორტი, გარე განათება, ტყეები, ნარჩენები და სოფლის მეურნეობა;
- ექსპერტების დახმარება საპროექტო წინადადებების მომზადების პროცესში;
- მდგრადი ენერჯეტიკის სამოქმედო გეგმის კომუნიკაციის სტრატეგიის მომზადება.

ბოლნისის, თემი თელავის და მცხეთის მუნიციპალიტეტების SEAP-ზე და SECAP¹-ზე მუშაობის პროცესში მოხდა MUNI-EIPMP- ის ინსტრუმენტის ტესტირება, რევიზია და განახლება.

გარდა ამისა, მოხდა მუნიციპალიტეტებიდან მიღებული მონაცემების შეჯერება ეროვნულ მონაცემებთან, რომლებიც შემდგომ გამოყენებულ იქნა MARKAL- ის მოდელში, ხოლო 2016 წლის აგვისტოში

¹ თემი თელავის მუნიციპალიტეტმა ხელი მოაწერა განახლებულ მერების შეთანხმებას, რაც გულისხმობს მდგრადი ენერჯეტიკისა და კლიმატის სამოქმედო გეგმის (SECAP) მომზადებასა და განხორციელებას 2030 წლამდე.

მუნიციპალიტეტებს გადაეცათ muni-EIPM- ის საბოლოო, სრულყოფილი ინსტრუმენტი სამომავლო მოხმარებისათვის.

ადგილობრივი შესაძლებლობების განვითარების მიზნით, 2016 წელს რემისიამ ჩაატარა სამი ტრენინგი მერების შეთანხმების ხელმძღვრელი მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებისთვის. ტრენინგის ძირითად თემებს წარმოადგენდა:

- „ენერგეტიკის მდგრადი განვითარების გეგმებში განხილულ სექტორებში სათბურის გაზების ემისიების შემცირების მიზნით გასატარებელი ღონისძიებებისათვის მომზადებული საპროექტო წინადადებების დეტალური განხილვა“;
- „სამუშაო შეხვედრა მონიტორინგის პარამეტრების შესარჩევად და სხვა ტექნიკურ საკითხებზე“;
- მუნიციპალური ემისიების ინვენტარიზაციის, მომავლის პროექციისა და შერბილების დაგეგმარების მოდელის (Emission Inventory Projection and Mitigation Planning Tool - muni-EIPMP) საბოლოო ვერსიის წარდგენა, მისი ახალი ფუნქციების და შესაძლებლობების განხილვა როგორც თეორიულად, ასევე პრაქტიკული სავარჯიშოების მაგალითზე.

კომპონენტი 3

2016 წელს LEDS- ის დოკუმენტისთვის რემისიამ მოამზადა ენერგეტიკის, ტრანსპორტის, შენობების და მრეწველობის სექტორების თავები. კერძოდ, თითოეული სექტორის მომზადების პროცესი ითვალისწინებდა შემდეგს:

- სექტორის მიმოხილვა- მოიცავს სექტორის აღწერას, მიმდინარე და სამომავლო ტენდენციების აღწერას, სათბურის გაზების ემისიების საბაზისო მდგომარეობას და რეკომენდაციებს შერბილების ღონისძიებებზე 2030 წლისთვის;
- შემარბილებელი ღონისძიებები თითოეული სექტორისთვის და სათბურის გაზების ემისიების შემცირების შეფასება;
- სექტორული დაბალემისიანი განვითარების სტრატეგიები 2030 წლისთვის.

თითოეული თავის ყველა სექცია, განსაკუთრებით კი პოტენციური შერბილების ღონისძიებები, წარდგენილი, განხილული და შეთანხმებული იყო სამუშაო ჯგუფებთან

შეხვედრების პროცესში. საბოლოოდ შეთანხმებული შემარბილებელი ღონისძიებები შეტანილ იქნა MARKAL-Georgia- ს² მოდელში, რომლითაც მოხდა შემცირებული ემისიების საერთო სურათის დადგენა თითოეული სექტორისთვის.

პროექტი	ბინათმესაკუთრეთა ასოციაციები, როგორც თანამედროვე ქალაქის მამოძრავებელი ძალა, პროექტი „გზად საბინაო სექტორის რეფორმებისაკენ: ბინათმესაკუთრეთა გაერთიანებების პოტენციალის ამაღლება აზერბაიჯანში, ბელორუსიაში, საქართველოში, მოლდოვასა და უკრაინაში“
დონორი განმახორციელებელი	ევროკავშირი Initiative Wohnungswirtschaft Osteuropa IWO e.V./ კონსორციუმი სამართლებრივი დახმარება საქართველო (LAG)/ რემისია
პერიოდი აღწერა	2016-2017 პროექტი მიზნად ისახავს თბილისში, ქუთაისსა და ბათუმში და პროექტში ჩართული სხვა ქვეყნების ქალაქების მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების მეშვეობით და მათი მონაწილეობით საბინაო მართვის პროცესში. საბოლოო მიზანი განხორციელდება კონკრეტული ქვე-მიზნების მიღწევისას: <ul style="list-style-type: none"> • სამიზნე ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების შესაძლებლობების გაძლიერება საერთო საკუთრებისა და შენობების მენეჯმენტის (საკანონმდებლო) საკითხებში; • ადგილობრივი მუნიციპალიტეტის/გამგეობის შესაძლებლობათა გაძლიერება შენობების ენერგოეფექტური მენეჯმენტის საკითხებში.
ძირითადი აქტივობები და შედეგები 2016 წელს	თანამშრომლობა ადგილობრივ თვითმმართველობასთან რემისია, კონტრაქტორ და პარტნიორ ორგანიზაცია LAG-თან ერთად აქტიურად მუშაობდა ქ. თბილისის

² ანალიტიკური ინსტრუმენტი/მოდელი

საბურთალოს რაიონის გამგეობასთან. ინტენსიური კომუნიკაციის შედეგად საბურთალოს გამგეობასთან ხელი მოეწერა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს, რის შედეგადაც გამგეობაში შეიქმნა ტექნიკური დახმარების ცენტრი (TAC).

ცნობიერების ამაღლება და შესაძლებლობების გაძლიერება

პროექტის ხელშეწყობით და იურიდიული დახმარებით ქ. თბილისში შეიქმნა ერთი ახალი ბინათმესაკუთრეთა ასოციაცია. იურიდიული დახმარება და კონსულტაციები გაეწია ბინათმესაკუთრეთა სამ ასოციაციას. საპროექტო წინადადებებთან დაკავშირებული შეთავაზებები და დისკუსიები თავდაპირველად შედგა რემისიასა და გამგეობას შორის, შემდეგ კი ტექნიკური დახმარების ცენტრთან და ექსპერტებთან. ხელი შეეწყო კომუნიკაციას 3 ბინათმესაკუთრეთა ასოციაციასა და საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს შორის დოკუმენტაციის მომზადების მიზნით.

ცნობიერების ამაღლება და შესაძლებლობების გაძლიერება

ჩატარდა თემატური ტრენინგები იურიდიულ საკითხებსა და შენობების ენერგოეფექტურობის შესახებ. გაკეთდა ქ. თბილისში არსებული კონკრეტული შენობების მიმოხილვა. საინფორმაციო თრენინგები ჩატარდა 26 ამხანაგობას . პროექტის შესახებ დამატებითი ინფორმაცია ხელმისაწვდომია რემისიის ვებ-გვერდზე, ასევე LAG კონსორციუმის ვებ- გვერდსა და Facebook გვერდზე.

პროექტი	„ჭოროხი-აჭარისწყლის საპილოტე აუზისათვის მდინარის აუზის მართვის გეგმის საბოლოო საპროექტო ვერსიის მომზადება“
დონორი	ევროკავშირი
კონტრაქტორი	კავკასიის რეგიონალური გარემოსდაცვითი ცენტრი (RECC)/რემისია
პერიოდი	2015 –2016
მოკლე აღწერა	ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ ამ პროექტს საქართველოში ახორციელებს კავკასიის რეგიონული ცენტრი. პროექტი ერთდროულად მოიცავს 6 ქვეყანას (აზერბაიჯანი, ბელორუსია, მოლდოვა, საქართველო, სომხეთი, უკრაინა). რემისიის დავალება ამ ფარგლებში იყო მდინარის აუზის მართვის პროსემი კლიმატის ცვლილების გათვალისწინება, კონკრეტული მდინარის ჭოროხი-აჭარისწყლის მაგალითზე.

ძირითადი
აქტივობები და
შედეგები

რემისიის მიერ გაწეული დახმარებით დაიწერა საბოლოო ანგარიში „კლიმატის ცვლილების გავლენა მდინარე ჭოროხი-აჭარისწყლის აუზში იდენტიფიცირებულ გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების ფაქტორებზე“.

პროექტი

სამრეწველო სექტორიდან არაენერგეტიკული სათბური გაზების ემისიების ქვეთავის მომზადება დაბალემისიანი განვითარების სტრატეგიისათვის, “კლიმაისტ” პროექტის ტექნიკური მხარდაჭერით

დონორი

ევროკავშირი

განმახორციელებელი

კლიმაისტი/რემისია

პერიოდი

2015-2016

მოკლე აღწერა

Clima East პროექტის მხარდაჭერით, დაბალემისიანი განვითარების სტრატეგიისათვის რემისიამ მოამზადა სამრეწველო სექტორიდან არაენერგეტიკული ემისიების შემცირების ღონისძიებების შეფასება. უფრო კონკრეტულად, საერთაშორისო ექსპერტთა ჯგუფის დახმარებით რემისიამ გააანალიზა სამრეწველო სექტორში მოქმედი ტექნოლოგიები და არაენერგეტიკული ემისიების შემცირების შესაძლებლობები. კონსულტაციები გაუწია სამრეწველო სექტორის სამუშაო ჯგუფს შერბილების პოლიტიკის შესაძლო მიმართულებებზე, რევიზია გაუკეთა ამ სექტორისთვის არსებულ თავს. რემისიამ უზრუნველყო შეხვედრები საერთაშორისო ექსპერტებსა და ადგილობრივი სამრეწველო ობიექტების წარმომადგენლებს შორის, კონსულტაციები დაინტერესებულ მხარეებთან. საბოლოო ანგარიშის შექმნაში რემისია აქტიურად იყო ჩართული.

ძირითადი
აქტივობები და
შედეგები

რემისიის ტექნიკური დახმარების ფარგლებში მიღებულ იქნა შემდეგი შედეგები:

- მოხდა დაბალემისიანი განვითარების სტრატეგიის ფარგლებში მრეწველობის სექტორისათვის მომზადებული არაენერგეტიკული წარმოშობის სათბურის გაზების ინვენტარიზაცია და მომავლის სცენარის აგება.
- გააანალიზდა გაზების შემცირების ღონისძიებები;
- მომზადდა რეკომენდაციები იმ პოლიტიკასა და პროგრამებზე, რომლებიც უნდა გატარდეს ამ სექტორში.
- მომზადდა რეკომენდაციები ამ პოლიტიკისა და პროგრამების ინტეგრაციისათვის სექტორის განვითარების გეგმებში.

II. სხვა განხორციელებული აქტივობების აღწერა:

„რემისიის“ ვებ-გვერდი - მოხდა ვებ-გვერდის ფორმატისა და შინაარსის განახლება, რათა გამხდარიყო უფრო მეტად მოსახერხებელი, მარტივი და ინფორმატიული.

ორგანიზაციული განვითარება– 2016 წელს გაგრძელდა ორგანიზაციის ოპერაციული და ფინანსური სახელმძღვანელოს გადახედვა და განახლება შიდა და გარე აუდიტის რეკომენდაციების გათვალისწინებით.